



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს ჰაილანდის  
ჯიოვანი ბიბლიოთეკა

მიქელ მოდრეკილი

დღესასწაულობად  
ნათლისღებისათვის  
უფლისა

დღესასწაულობა ნათლისღებისათვის  
უფლისა  
მიქელ მოდრეკილი

დღესასწაულობად ნათლისღებისათვის უფლისა

ჩუენისა იესუ ქრისტესა და კსენებად

ღუაწლით შემოსილისა უძლეველისა მოწამისა

ჰაბო ისმაიტელ ყოფილისა ქართველისაად

დამბადებელი დაბადებულთად, ღმერთი, გარემუწერელი და მიუწდომელი, უხილავი, გამოუთქუმელი, რომელმან სიბრძნით დაჰბადა და შექმნა წყალთაგან ქუეყანად ესე ძალითურთ და სამყაროდთ, და გამოაბრწყინვა მას შინა ნათელი ესე მცხინვარებისა მზისაად და კაცთა მოჰმადლა ცხოვრებად ესე, ინება კუალად ცხოვრებად ჩუენი წყალთაგან და ქუხს ჳმითა ზეგარდამო განახლებად სულთა ჩუენთათვის.

ნათელი ნათლისაგან შობილი, სიტყუად მამისაგან

გამოსრული, სრული ღმრთეებითა, თანაარსი და თანამოსაყდრე, სწორი მამისაად ბუნებით, გამოჩნდა კორციითა, წყალთაგან ნათელ იღო აწ, რადთა განწმიდნეს და ყვნეს იგინი განმწმედელად სულთა კაცთასა და განმანათლებელ, განმათავისუფლებელ ცოდვათაგან, და მოსცეს მადლი დათრგუნვად მანქანებათა ბოროტთა მტერისათა და შემმოსოს ძალი ღმრთეებისაად უძლეველი.სული ღმერთ არს, ვითარცა იტყვს წერილი, თვთ კელმწიფე და შემოქმედ, ვითარცა იგი, დაჰბადებდა რად დაბადებულთა, იქცეოდა ზედა წყალთა, დღეს იორდანესა სახითა ტრედისაადთა გარდამოჰდა, რადთა უჩუენოს, რომლისათვის მამად ზეგარდამო წამებს ჳმითა, რამეთუ ესე არს, რომელმან მოსცეს პირველი იგი წარწყმედული კაცთა ცხოვრებად წყალთა მიერ აღსაარებითა სამებისა წმიდისაადთა.განჰკაფე გუამი შენი, წმიდაო, მარხვითა და განსწმიდე სული შენი. მაშინ მადლითა ღმრთისა-მიერითა აღივსე და მიჰრბიოდე წამებად, ვითარცა ზუარაკი შესაწირავად ღმრთისა, მრგულიად დასაწუველად, და აღიარე კადნიერად მძლავრთა წინაშე, და სახელს იდევ ქრისტეანედ და სთქუ: "არად მეშინის ტანჯვათაგან თქუენთა, უღმრთონო, და თავყუანის-ვსცემ ღმერთსა ჩემსა, სამეებით ცნობილსა და

ერთარსებით დიდებულსა”.რაჟამს გეუწყა განსრულებად ღუაწლთად მათ შენტად, წმიდაო, და განსლვად საკრველთა მათგან ჯორცთადსა და მისლვად უფლისა, მაშინ უფროდს განსძლიერდი და იწყე გალობად, ვითარცა რად იგი გალობნ მკუდარსა ზედა, და ავაზაკისა თანა ჰკმობდი: მომიკსენე, უფალო, მოსლვასა მეორედ დიდებით, და შესწირევდი თავსა თვსსა მსხუერპლად, ვითარცა მღდელი ჯერისაებრ, და ღირს იქმენ სუფევასა დაუსრულებელსა!დიდ არს მაღლი ნიჭთა შენტად მეუფეო, რომელნი ჰყვენ წმიდათათვს, რომელნი-ესე სათნო გეყვენს შენ ღირსებითა. რამეთუ გამოაცხადე დღეს მოწამჴ შენი აბო ზეცით ცეცხლისა მოვლინებითა და უჩუენე ყოველთა კაცთა დიდებად, რომელთა შენტვს იღუაწონ. აწ გევედრებით, მეოხებითა მათითა მოგუმადლე მშვდობად და წყალობად შენმიერი, რადთა მარადის უგალობდეთ სახელსა შენსა!

გიხაროდენ გამორჩეულო მაღლისა მიერ, ღმრთისა მამისა და ძისა მხოლოდ-შობილისა მიერ წოდებულო, სულისა წმიდისა განბრწყინვებულო, ზეცას უჯორცოთა გუნდსა თანა შეერთებულო, მოწამეთა და მართალთა შორის ქებულო, ეკლესიათა შუენიერო სამკაულო, მარტვლთა სიქადულო, მეფეთა სიხარულო, მორწმუნეთა შემწეო, ახოვანო მოღუაწეო აბო, ღმერთსა ევედრე აწ მონიჭებად სულთა ჩუენთა დღეს დიდი წყალობად!

აღმსარებელნი სამებისანი, მორწმუნენი ადამეანნი, აღმასრულებელნი საუფლოსა ამას დღესა ნათლითა შემოსილსა, საღმრთოდთა შესხმითა უგალობდეთ ვსენებასა აბო ახლისა მოწამისასა!ბუნებითა უზეშთაეს შეიმოსე ბუნებად ჩემი, ღმრთისა სიტყუაო,მხოლოდ-შობილო, და ნათელს-ილე ჯორცითა, უცოდველო, რომლისა მსგავსებითა ნათელს ილო მვნემან აბო წყლითა და სისხლთა დათხევითა!ოჯარისმყოფელთა ქრისტჴსთა, უშჯულოთა ისმაიტელთა, ნაშობთა შორის ბნელისათა ვარსკულავად მნათობად გამოჰბრწყინდი, მვნეო მოწამეო აბო, და საღმრთოდთა ნათლითა განანათლენ ქართლისა მყოფნი!რომლისათვს გუახარებდა ესაია ღმრთისმეტყუელი და სულითა წმიდითა პირველვე

იტყოდა მოსლვისათვის ღმრთისა ჯორცითა ცხოვრებად მორწმუნეთა, რომელმანცა იტვრთნა უძღურებანი ძეთა კაცთანი, დღეს იორდანეს მოვიდა ნათლისღებად თვთ მნათობი ნათელი, თუალთ-შეუდგამი, სოფლისა განმანათლებელი!წინადსაწარვე მოგუასწავა დავით წინადსწარმეტყუელმან მოსლვად მკსნელისად იორდანისა წყალთა, იტყოდა რად განცხადებულად საღმრთოთა მით სიბრძნითა, მთანი იხარებდით წინაშე პირსა უფლისასა, რამეთუ მოვალს დღეს ნათლის ღებად სიმდაბლით იორდანეს, რომლისაგან შიშით ძრწიან უსხეულონი ზეცისანი.ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლად მოწევნადის[ა] მისგან საუკუნოდსა რისხვისა მის მომავალისა, რამეთუ არად ჰყავთ თქუენ ნაყოფი

სიმართლისად! ეტყოდა წინამორბედი მომავალთა მისა: ”მაშინ მოვიდა მკსნელი გალილეადთ იორდანეს ნათლისღებად , განმანათლებელი ყოველთაა!”სურვილითა სულისადათა და ფრიად სიყუარულითა შენითა, დიდებულო მოწამეო ჰაბო, აღიძრვის დღეს გონებად ჩუენი ქებად ღუაწლთა მათ შენთა ბრწყინვალითა ქებითა. პირველად წამებისა შენისა, ვითარ მკნედ ჰმურებოდე, ძლიერად ეწყვე მტერსა, რაჟამს წარსდეგ მძლავრთა წინაშე, განდიდნა სახელი წამებისა შენისა!მოვედით დღეს, მორწმუნენო, იხილეთ მენელსაცხებლე, რომელმან შეწირა თავი თვისი მსხუერპლად მისთვის, რომელმან ივნო ჩუენთვის, და სისხლთა დათხევითა სულნელ-ყო ეკლესიად უფროდს ყოველთა ნელსაცხებელთა და აწ ევედრების ყოველთა მეუფესა,

ღმერთსა ჩუენსა, სულთა ჩუენთა ჯსნისათვის ყოვლისაგან განსაცდელისა!განზრახვითა კეთილითა შესცვალე შუებად სოფლისადა და დიდებად მისი შეჰრაცხე ნაგევად, რადთა ქრისტე შეიძინო, და სრულიად ილუაწე, და აწ არად სარკითა, ვითარცა სახედ ჰხედავ მას, არამედ პირისპირ იხილავ საწადელსა. მეოხ გუეყავ, რომელნი აღვასრულებთ ჯსენებასა შენსა ნეტარო!

ადგილი იგი სამსხუერპლოდ, რომელსა ზედა დაიწუა ყოვლად წმიდად

გუამი შენი, ნეტარო, დიდებაო მოწამეთაო, ემსგავსა საკურთხეველსა წმიდისა აპრონისსა ზეცით ცეცხლისა დადგრომითა განგრძობილად, ღირსო, ნათლითა ბრწყინვალითა, ჰხედვიდეს რად, ურწმუნოთა დაუკვრდა და მორწმუნენი იხარებდეს!

დასდებელნი ნათლისღებისა და წმიდისა

მოწამისა ჰაბოძსნივე გიხაროდენ წინამორბედო და საღმრთოძსა მოსლვისა მქადაგებელო! აჰა დღეს მოვიდა გალილეადთ იორდანედ ქრისტე, კრავი ღმრთისაჲ, ტარიგი წმიდაჲ, ჩუენთჳს განმზადებული მოსიკუდიდ ნეფსით ჯუარითა, რომელმანცა აღიხუნა სოფლისა ცოდვანი. განემზადე აწ, იორდანეო, განბანად უბიწოთა ჯორცთა მისთა, რომელსა არა უკმდა საბანელი განწმედად, არამედ ჰნებავს განწმედაჲ წყალთაჲ, ამას თავყუანის-ვსცეთ, რომლისაგან პოვა სოფელმან დღეს დიდი წყალობაჲ.

გამოშჩნდი ვარსკულავად მნათობად, განმანათლებელად ქართლისა, ნეტარო, და ღუაწლი შენი უფროძს ნათელსა მზისასა ბრწყინვალედ გამოჩნდა სახედ ელვისა, ბრძენო, საცნაურად სამყაროთა ზესკნელისათა, სახილველად ყოველთ[ა] კიდეთა ცისათა, რაჟამს ხატ ექმენ უფლისა ნათლისღებასა და განშიშულეებული შთაჰკედ ემზაზსა ღუაწლისასა და ორ-გზის ნათელს იღე წყლითა და სისხლითა, მკნეო ჰაბო, ღმერთსა ევედრე აწ მონიჭებად სულთა ჩუენტა დღეს დიდი წყალობაჲ!

მკვდრად აღთქუმისა გამოჰბრწყინდი და ძედ ზეცისა ჩინებისად იწოდე, ნაშობად აბრაჰამისა იქმენ, ნეტარო, ისაკ მეორე, ნეფსით მოგურილი დაკლვად, შესაწირავად უფლისა. სულად სულნელად გიცნა, ღირსო, ეკლესიამან, და ენითა შვილთა თვსთაჲთა ჯმობს ღუაწლთა შენთა სიმკნესა, რომელიცა შეიმკო სახედ ძოწეულისა და განშუენდა ბრწყინვალედ სისხლითა შენითა, მოწამეო, ღმერთსა ევედრე აწ მონიჭე[ბად სულთა ჩუენტა დღეს დიდი წყალობაჲ]!

დაღაცათუ დამზადებელმან, სიტყუამან ღმრთისამან, შეიმოსა კაცებაჲ და მით ნათელ-ილო ჩუენტჳს, ხოლო არათუ ბუნებით შეირწყუნეს

ღმრთეებად და კაცებად, არამედ შეიყვნეს!

დაღაცათუ ვითარცა ტრედი იხილვა გუამითა დღეს სული უხილავი ნათლისღებასა ქრისტესსა, არამედ არა ბუნებით აქუნდა გუამოვნებისა იგი ხატი, გარნა მსგავსებით. შემდგომად დიდისა მის დღისა, დღესასწაულისა განმანათლებელისა, ნათლისღებისა უფლისა, შევამკოთ ერნო მოლუაწისაცა, ახლისა მოწამისა ვსენებად [ჰ]აბოდსი! რაჟამს მიიწია ბაბილონდ მთავარი ქართლისა? მაშინ ნეტარი ჰაბო, შჯულითა ისმაიტელი, შეიწყნარა განგებითა ღმრთისადათა და მის მიერ გულისხმა-ყო ძალი ქრისტესი.

განიზრახა გულისხმის-ყოფითა მედგრობად შჯულისა თვისისა მამულისად ქრისტეს მოყუარემან [ჰ]აბო და მყის დაუტევა სიცბილი პირველი და აღიარა ქრისტეს ღმრთეებად.

მოიწია ჟამი ჩუენი, წარმართთა ბნელთა განათლებისად, წყუდიადსა შინა მყოფთად, რამეთუ მოვიდა უხილავი ნათელი კორცმესხმული გალილეადთ იორდანესა და მიიღო დღეს ნათლისღებად იორდანეს, ვითარცა კაცმან, ჯელითა წინამორბედისადათა.

ვითარცა იხილა იოვანე უფალი ნათლისღებად, ესრეთ ეტყოდა ერსა: ”ესერა მდგომარე არს თქუენ შორის კრავი ღმრთისა მაღლისად, აღმხუმელი სოფლისა ცოდვათად, ესე არს მუშაკი კეთილი, ნაყოფიერ-მყოფელი სულთად და წმიდა-მყოფელი ყოველთად”. მო-რად-იწია სანატრელი ჰაბო არეთა ქართლისათა, იწყო ვედრებად ღმრთის-მოყვანებისათვს უმჯობესად, და მოჰხედა უფალმან, შეიწყნარა თხოვად მისი, გულისხმა-ყო შიში და სიყუარული და ტრფიალ-ყო მცნებათა მისთა ცხოველს-მყოფელთა. მიერულა გონებისა სიბრძითა აგარეანთა ერსა, რომელთაგან გამოჩნდა ვითარცა რად ვარდი ეკალთაგან, დაუტევა შჯული უნდოდ და შეიყუარა სარწმუნოვებად, ქადაგებული მოციქულთად, ღუაწლით შემოსილმან [ჰ]აბო და იწოდა მსახურ სამეხისა. ვითარცა ესმა სანატრელსა ჰაბოს წიგნთაგან სულიერთა ახოვნებად წმიდათად, რომელი აჩუენეს სიმჴნით ქრისტესთვს,

განიცადნეს ტანჯვითა, ალეგზნა საღმრთოთა შურითა და იწრაფდა მსგავს ყოფად მათა, რათა დასთხინეს უბიწონი სისხლნი თჳსნი ქრისტჳსთჳს.ღმრთად იცნა ქრისტე იორდანემან და შეძრწუნდა ძალისა მისგან შეუძრველისა. დასცხრა ოხრისაგან, დუმილით ისწავა კრძალულებით განზანად საუფლოთა მათ ჳორცთა შემოქმედისა, ყოველთა ღმრთისა.მსახურნი სამებისანი, უხილავნი, თანადგეს მაცხოვრისა ნათლისღებასა გარემოდს საღმრთოსა საბანელსა, წმიდაარსობითა აქებდეს მხოლოდ-შობილსა ძესა, ჳორცითა ჩუენთჳს ნათელღებულსა”.

ბნელთა მათ აერთა, ღრუბელთაგან უნაყოფოთა, ვითარცა ვარსკულავი გამობრწყინდა ქრისტჳს მოწამჳ და არეთა შინა ჩრდილოდსათა მზებერ გამობრწყინდა ნეტარი [ჳ]აბო და ჳნათობს ქართლისა მკჳდრთა.ყუავილი სულნელი ძირითაგან უნაყოფოთა გამოჩნდა ფერთა მით მეწამულითა და სულმან წმიდამან აღიტაცა ზეცად გონებითა და მუნ უჩუენა შუებად წმიდათად ყუავილოვანსა სამოთხისასა.

მჳეცთა მათ მძჳნვარეთა სისხლის მჳამელთა, მარადის მტერთა სულისა წმიდისათა, რაჟამს გულისხმა-ყვეს სარწმუნოვებად უქცეველი, რომელი აქუნდა ნეტარსა[ჳ]აბოს, განიზრახეს მათ წარწყმედად მისი.

კბილთა მათ გულისათა გესლოვან-ყვეს პირველქმნული, ხატად ღმრთისა დაბადებული, ხოლო ქრისტემან, იორდანეს განზანითა, კუალად განასპეტაკა.ვითარცა იხილა ნათლისმცემელმან დაუსაბამოდ ნათელი ნათლისღებად მომავალი, ქრისტე ღმრთად იცნა და კრავად სახელ სდვა, რომელი დაკლვად იყო სოფლისათჳს.

ეძიებდეს შეპყრობად მოწამესა ქრისტჳსსა უშჯულონი, ხოლო იგი ნეფსით მიეცა ჳელთა მათთა, ვითარცა მჳსნელი მოსიკუდიდ ჳელთა ჳურიათასა.რამეთუ ”ცხოვრებად ჩემი ქრისტე არს და სიკუდილი შესაძინელ არს”, ესრეთ ჳჳმობდი, მოწამეო, წინაშე უშჯულოთა მძლავრთა და მისთჳს დასთხიენ სისხლნი შენნი.

ისწავებდა წიგნთაგან და მოძლუართა ღირსად სარწმუნოვებასა და წესისა

შეუღოსა ნეტარი ჰაბო და სიხარულით ადიდებდა მამასა ძით და სულით წმიდითურთ. რომელმან განახუნა საქანელნი ცისანი და წყალნი იგი ზესკნელისანი დამოადინნა ქუეყანად, დღეს განიბანების ჯორცითა იორდანისა წყალთა. რომელმან შექმნა ზღუად ესე დიდი და ვრცელი, და ჯმელი ჯელთა მისთა დაჰბადეს, დღეს ნათელს იღებსდაუღამებელი ნათელი, თვთ მნათობი არსებად. ეტყოდა რად [ჰ]აბო ნათესავთა თვსთა: “კეთილ არს დატევებად ბნელისად და მოწრაფებად ნათელსა ღმრთის-მეცნიერებისასა მონებად სამებისა”. ესმა რად ესა ისმაიტელთასა, აღეგზნნეს ცეცხლებრ გულისწყრომითა და მქეცებრ იღრჭენდეს კბილთა, რადთა

მისცენ მოსიკუდიდ [ჰ]აბო, ქრისტეს მოწამს.

არად შეჰრაცხა განრისხებად უშეულოთად, არცა ყოვლად ზარგანჯდილ იქმნა, რამეთუ უყუარდა ქრისტეს და არად დასცხრებოდა კითხვად წიგნთა მათ საღმრთოთა. ზეცით ჰხადა უფსკრულსა იორდანესა ზედა, უფსკრულსა მას სიბრძნისასა, მამამან ძესა ჯორც-შესხმულსა, და ესე ესმა იოვანეს, ვითარმედ ეგე არს ბუნებით ძეს ჩემი და თანასწორი არსებად დაუსაბამოდ.

დღეს ღუმან მდინარენი და ოხრიან აერნი, ღრუბელნი სამყაროთანი აცურევენ ცუარსა საღმრთოსა, შეითქუნეს მეტყუელი და უტყვ იოვანე და იორდანე, და შიშით განბანნეს ჯორცნი მქსნელისანი, ყოვლად უცოდველნი. მოიწია რად [ჰ]აბო მს ჟამი მოღუაწებისად, მყის მოიწინეს

მსახურნი უშეულოდსა მსაჯულისანი, შეიპყრეს მოწამს ქრისტესი და შეკრული საკრველითა სამშჯავროდ მისცეს უმშჯავროდ და ჰგუემდეს მსგავსად მქსნელისა. განიხარა ნეტარმან უმშჯავროდ გუემად ქრისტესთვს, იწყო დაუცადებელად საპყრობილესა მას შინა, სულთქუმითა ჯმოზდა ქრისტეს მიმართ: “აჰა ესერა სიხარულით დავსდებ შენთვს სულსა ჩემსა, შეივედრე, მქსნელო!” აუწყა მას ქრისტემან ჟამი აღსრულებისად, მოსცა სიმქნეს გულსა მისსა და სიმტკიცეს გონებასა მისსა. მას ჟამსა ჰრქუა მისთანათა მათ: “არღარა სადა მიხილოთ, რამეთუ

მსურის მე განსლვად და ქრისტჳს თანა ყოფადა”.

შეინანა დაბადებაჲ კაცისაჲ დამბადებელმან და რისხვით აღკოცნა წყლითა ნოვეს ზე ნათესავნი, აწ მითვე წყლითა მკსნელმან აღკოცნა ცოდვანი ჩუენნი. ღმრთეებისა სამჳედურმან შთაიცუა, ვითარცა მატლი, მიწისაგანი ბუნებაჲ და მით მოინადირა წყალთა შინა ვეშაპი, მომზირალი ბრჳალთა ჩუენტაჲ. აღეგზნეს გულის-წყრომითა უღმრთონი ისმაიტელნი ჰაბომსთჳს მოლუაწისა და ეტყოდეს მსაჯულსა: “წარწყმიდე მაცთური ესე და მკდომი შჯულისა ჩუენისაჲ”. მოჰყვანდა ვითარცა კრავი ნეფსით თჳსით დაკლვად ქრისტჳსთჳს გზასა მას წამებისასა, განსცხრებოდა სიხარულით, მოუდრიკა თავი მახჳლსა და შეჰვედრა სული უფალსა. ძისა აღმსაარებელი, მამისა მადიდებელი, მაქებელი სულისაჲ უშჯულოთა ჳელითა დაიკლა, ვითარცა კრავი და შეიწირა მსხუერჳლად ღმრთისა. იორდანესა, ვითარცა უზეშთაესსა ყოველთა მდინარეთასა, მაქებელ ვექმნნეთ, რამეთუ განწმიდა დღეს სულმან წმიდამან და ემბაზ ექმნა საღმრთოთა ჳორცთა ქრისტჳსთა. დაჰბადე, ქრისტე, ადამ ხატად ბრწყინვალედ, ხოლო მაცთურმან აცთუნა და დააბნელა, არამედ მოხუედ და კუალად ბრწყინვალე ჳყავ ნათლისღებითა და მაცთური დააბნელე. შიში უღმრთოთაჲ განაგდეს მორწმუნეთა და სურვილით ამბორს უყოფდეს უბიწოსა ქრისტჳს მოწამესა, რაჳამს იხილეს აღსრულებული ქრისტჳსთჳს კეთილითა აღსაარებითა. გამოჩნდა ზეცით ვარსკულავი მოტყინარჳ ღამესა ბნელსა მზეებრ ბრწყინვალჳ გუამსა ზედა ქრისტჳს მოწამისასა პატივად ღუაწლთა [ჰ]აბო მკნედ მოლუაწისათა.

შეკრიბნეს ძუალნი ახოვნისა [ჰ]აბომსნი და შთაყარნეს დიდსა მას მდინარესა, ხოლო იგინი ბრწყინვიდეს წყალთა შინა, ვითარცა მთიებნი ყოვლად მნათობიერნი. რომელმან შეკრიბნა წყალნი შესაკრებელსა ერთსა საღმრთოთა ბრძანებითა და დაადგინნა, ვითარცა თხიერთა, უფსკრულისა საუნჯეთა, ღმრთისა სიტყუამან, წყლითა ნათელ-სცა წინამორბედმან. დაუსაბამოდსა მზისა ნათლისა ნათლისღებითა დამდაბლებულ არიან და დაბნელებულ უკუნისამდე მავნებელნი სულნი

ბოროტნი და მზეებრ ნათობენ ნათელღებულნი ადამეანნი.

ზეგარდმო წოდებული სარწმუნოდ ქრისტეს მოწამე, სანთელი განბრწყინებული, ნეტარი ჰაბო დაფარეს აქა ჯორცითა ისმაიტელთა, ხოლო ქრისტეს მიერ ნათობს სულითა სასუფეველსა.

უვარისყოფელნი შენნი, მომსრველნი მართალთანი, სიცრუვისა მოქმედნი, ურწმუნონი ისმაიტელნი, ქრისტე, მისცენ მწარესა მას საუკუნესა. სატანჯველსა დაუსრულებელსა.

უძლეველო მოწამეო, სრბად კეთილად აღასრულე და აწ მკვდრ ხარ ნათელსა გამოუთქუმელსა, ევედრე ქრისტესა, რადთა დაამკუნეს მტერნი ჩუენნი აგარეანნი და ძლევად მოსცეს მეფესა ჩუენსა. განწმიდნა წყალნი წყალთა დამბადებელმან, განიბანა რად მათ შინა ორითა ბუნებითა, აკურთხნა სულისა მიერ წმიდისა და ჩუენ მოგუანიჟა მათ მიერ მესნელმან ნათელღებულთა სასუფეველი. მდინარე ღმრთისად აღივსო საღმრთოდთა წყლითა ცხოველითა დღეს, იორდანე, რაჟამს შეეზავა წყაროდ უბრწუნელებისად სიტყუად ღმრთისად, რომლისა ცუარითა იხარებს ჯეჯილი სულთა მართალთა ნათელღებულთად. ვითარცა ესმა ჳმად ზეცით იოვანეს, ოხრად მამისად, მას ჟამსა ჰრქუა ერსა: "აჰა ესერა მდგომარე არს თქუენ შორის კრავი ღმრთისად, მე ნათელს-გცემ წყლითა, იგი ნათელს გცემს სულითა წმიდითა და ცეცხლითა".

რაჟამს შეჰვედრა [ჰ]აბო სული უფალსა, ზეცისა გუნდნი წინაუძლოდეს მას, სიხარულით აღიყვანეს გალობითა ზეცად და მამად აბრაჰამ მიეგებვოდა და შეიწყნარა წიაღთა თვსთა.

რაჟამს მიუპყრა მოწამემან ქრისტესმან, ღუაწლისა მძლემან, მახვლსა ქედი თვსი ქრისტესთვს, მას ჟამსა ჳმა- ყვეს მაღლით უჯორცოთა: "აღმოვედ ჩუენ თანა, გიწესს უფალი, და იხარებდი წინაშე მისსა". რომელთა მოკლეს უმშჯავროდ ნეტარი ჰაბო, დაესაჯა მათ საშჯელი საუკუნოდ ჯოჯოხეთი და ბნელი იგი გარესკნელისად, ხოლო იგი ბრწყინავს წინაშე ღმრთისა ნათელსა შინა უკუნისამდე. რაჟამს მოვიდეს მსაჯული სახიერი და დაჯდეს განკითხვად საყდართა

სუფევისა თვისათა, მაშინ მეოხ გუეყავ, ნეტარო ჰაბო, წინაშე ღმრთისა  
სულთა ჩუენთათჳს.უზემთაჳს ხარ ქერობინთასა, ღირსო, უშუენიერეს  
ყოველთა სამკაულთა, ღმრთისმშობელო, უნათლეს მნათობთა  
სამყაროდსათა, რამეთუ საღმრთოდთა მადლითა სავსეჳ ჰნათობ მარადის  
წინაშე ღმრთისა.იამბიკონი ყოველსა მუხლსა დ შეტყუებად არს, ე ჯერ  
იბ.თქმულნი: ორმოცისა, ათისა, ექუსასისა, ერთისა,ხუთისა და  
ოცდაათისანი

1.უბიწოდთა მით ვნებითა, ქრისტე, ღმერთო,  
განჰკურნენ მჰსნელო, ვნებანი სოფლისანი,  
რაჟამს ჳორცითა აღჰმადლდი ჯუარსა ზედა,  
დაეც სიმაღლჳ, მტერისა მაცთურისად და აღადგინე ბუნებად კაცობრივი!

2. უსხეულოდთა, საღმრთოდთა ბუნებითა  
ეგე უბრწნელად, ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო,  
რაჟამს დაიდევ საფლავსა შეუცავო,  
მოჰკალ სიკუდილი, სიკუდილითა უკუდავო,  
და აღადგინენ მკუდარნი საფლავისაგან!

3. ურჩებისათჳს ადამისისა მოჰკუედ,  
მეორე ადამ, ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო!  
რაჟამს იხილე ძლეული დაცემულად,  
აღადგინე დღეს აღდგომითა შენითა,  
და კუალად აგე პირველსა დიდებასა!

4. გამოისახა ცხოველს-მყოფელის ვნებად  
შენი ჳორცითა, ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო,  
რაჟამს დაიკლა კრავი იგი ეგჳპტეს  
საჳსრად პირმშოთა, ხოლო შენ შეიწირე  
ნეფსით მამისა ცხოვრებად მომწყდართათჳს.

5. გამოუთქმელი სიმდიდრე-ღმრთეებისად

არ[ი]მათიელმან იოსეფ დაიუნჯა,რაჟამს საუფლოდ გუამი დადვა  
საფლავსა,

ვითარცა მკუდარი მოკუდავთა უკუდავებად,

და დაიმკვდრა სრულიად ნეტარებად.

6.გამობრწყინდა დღეს თვთ მნათობი ნათელი,

შეუხებელი, ქრისტე, მზე სიმართლისად,

რომელი-იგი დაეფარა სიჩრდოსა

საფლავისასა ბუნებითა ჯორცთაათა,

და ჯელმწიფებით აღდგა, ვითარცა ღმერთ არს.

7. მხოლოდშობილო, ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო.

რაჟამს ჯორცითა აღჰმალღდი ჯუარსა ზედა,

უბიწოთა მით სისხლითა მოიყიდე

და დაიწინდე ეკლესიად წარმართთად,

ვითარცა სძალი, უკუდავმან მეუფემან.

8.მხოლოდშობილო, ქრისტე,ღმრთისა სიტყუაო,

რაჟამს დაიდევ ნეფსით თვსით საფლავსა,

საფლავით მკუდარნი აღადგინენ ჯელმწიფედ,

რამეთუ მიხუედ სულთა საპყრობილესა

და შეწყუდომილნი მას შინა გამოიქსნენ.

9. მხოლოდშობილო, ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო.

რაჟამს უკუდავი ღმერთი ა[ღ]სდევ საფლავით

დაჰქსენ სიკუდილი, განაქარვე ხრწნილებად,

და მორწმუნეთა მოგუმაღლე უხრწნილებად,

და უკუდავებად მოკუდავთა მოგუანიჰე!

10. აცურე ქრისტე, ცუარი ცხოველ-მყოფელი,  
უნაყოფოსა სულსა ჩემსა, სახიერ,  
და დაშრიტე აწ შემწუველობად ცოდვისაჲ  
ნაკადულითა სისხლისა და წყლისაჲთა,  
რომელი გუერდით შენით გარდამოეცა!

11. არაჲ დავჰფარავ ქველის მოქმედებასა  
მადლთა შენტასა, ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო,  
რამეთუ ჩემთვის დაჰგლახაკენ მდიდარნი,  
და სიგლახაკჳ ჩემი ადიდე, მჰსნელო,  
და უკუდავ მყავ მე, სიკუდილითა უკუდავო!

12. აჰა ბეჰედნი საფლავისანი ჰგიან  
აღუტეხელად, აჰა სამისა დღისა

მკუდარი განხრწნადი აღდგომილ არს უხრწნელად, სირცხვლეულ არს  
კრებული უმჯულოთაჲ, უკუდავი ღმერთი ცხოველი აღდგა  
მკუდრეთით!

13. მიჰხედენ ღირსო, ძესა შენსა ჯუარს-ცუმულსა.

უვნებელსა მას ჯორციელად დაშჯილსა,

ღმრთისა დედაო, და ესევდი აწ ძალსა

მისსა ძლიერსა, რამეთუ მან თავადმან

მოკლას სიკუდილი და მკუდარნი აღადგინნეს.

14. მიჰხედენ მჰსნელო, ჯუარს-ცუმულმან, ჯორციელად

მშობელსა შენსა, უბიწოსა ქალწულსა,

შეურვებულსა ეტყოდე შენ, სულგრძელო,

”ნუ მწუხარე ხარ, ღირსო, ვნებასა ჩემსა,

რამეთუ აღვდგე მკუდრეთით, ვითარცა ღმერთ ვარ”.

15. მიიწრაფე აწ საფლავად ღმრთის-მშობელო,  
და იხილე ძღ, შენი და ღმერთი ჩუენი,  
რომელმან ივნო და მოკუდა ჯორციელად,  
აღდგომილ არს დღეს ღმრთეებისა ძალითა  
და აღვალს ზეცად, უხრწნელსა სუფევასა.

16. მოგუმადლე, მქსნელო მოტევებად ცოდვათად,  
და შეიწირე უღირსთაგან ბაგეთა უძლური შესხმად ღმრთეებისა შენისად,  
მოჰმადლე ძლევად მეფესა მორწმუნესა,  
და წარგჰმართე, გზასა მშჯდობისასა!